



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ
„ინგლისური ფილოლოგიის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
შპს საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
6.11.2023

დასკვნის წარდგენის თარიღი

15/12/2023

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	7
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	7
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	19
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	26
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	29
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	36

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ჯოჯუა, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკატერინე ზაკარაძე, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ინგლისური ფილოლოგია
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	English Philology
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი / MA in English Philology
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0231 ენის დაუფლება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 12 ივლისი 2022, გადაწყვეტილება 794250
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

შპს საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების სკოლის მიერ წარმოდგენილი ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შპს საქართველოს უნივერსიტეტის უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე 2022 წლის 12 ივლისიდან და მიზნად ისახავს კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის „ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი“ მინიჭებას.

შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით 6 თვის თავზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით და 1 წელში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

შესაბამისად, წინამდებარე დასკვნის პროექტი ასახავს გეგმური მონიტორინგის მიზნით ჩატარებული შეფასების შედეგების ანალიზს, რაც შეეხო შემდეგ სტანდარტებს: I სტანდარტი, II სტანდარტი, IV სტანდარტის 4.1 და 4.4 კომპონენტები, V სტანდარტის 5.1, კომპონენტი

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების სკოლის მიერ ინიცირებული ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შუამდგომლობის საფუძველზე დაგეგმილი მონიტორინგის ფარგლებში უნივერსიტეტში 2023 წლის 6 ნოემბერს შედგა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი, რომლის დროსაც, წინასწარ დაგეგმილი და პროგრამის ადმინისტრაციასთან შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით ექსპერტებმა ჩაატარეს ინტერვიუ პროგრამაში ჩართულ პირებთან და განახორციელეს პროგრამისათვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება, ექსპერტებს შესაძლებლობა მიეცათ გასაუბრებოდნენ ხელოვნებისა და ჰუმანიტარული სკოლის ადმინისტრაციას, პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ და მოწვეულ პროფესორ-მასწავლებლებსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებს. ექსპერტებმა პროგრამის ჯგუფისგან გამოითხოვეს კონკრეტული დამატებითი დოკუმენტაცია და ვიზიტის ბოლოს ინტერვიუს შედეგები შეაჯერეს, რის შემდეგაც, პროგრამის ჯგუფს ძირითადი მიგნებები გააცნეს.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

მონიტორინგის ფარგლებში შესაფასებლად წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ინგლისური ფილოლოგია შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ, კომპონენტები 1.1.; 1.2; 1.3; 1.4; 2.1; 2.2; 4.1; 4.4; 5.1 სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან, ხოლო კომპონენტები 1.5; 2.3; 2.4 - მეტწილ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.

სტანდარტი 1: სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან;

სტანდარტი 2: მეტწილ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

სტანდარტი 4: სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან;
სტანდარტი 5: სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან;

რეკომენდაციები:

სტანდარტი 1.5:

- რეკომენდებულია სასწავლო ლიტერატურის გადახედვა და შევსება, როგორც უახლესი სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურით, ასევე სასემინარო/პრაქტიკული სამუშაოსთვის განკუთვნილი ცოცხალი ენის შემცველი და ბოლოდროინდელი ტენდენციების ამსახველი სტატიებით, ემპირიული მასალითა და კვლევის შედეგებით
- რეკომენდებულია, პროგრამის შემადგენელი საგნების კრედიტების რაოდენობა, მათ შორის საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი დრო ასათვისებელი მასალის სირთულისა და საჭიროების გათვალისწინებით, გადაიხედოს, მოდიფიცირდეს და მეტად მოერგოს საგნის სპეციფიკასა და შინაარსს.
- მიზანშეწონილია სასწავლო საგნების სილაბუსებში სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის გამიჯვნა და დაზუსტება სტუდენტებისთვის დამოუკიდებელი მუშაობის ხელშეწყობის მიზნით.

სტანდარტი 2.3:

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსის “პროექტის მენეჯმენტი” სილაბუსში სწავლების მეთოდები გაიმიჯნოს აქტივობებისგან, რაც უფრო ნათელს გახდის შედეგების მიღწევის რეალურობას

სტანდარტი 2.4:

- რეკომენდებულია, ცალკეული სასწავლო საგნების შეფასების კომპონენტებისა და რუბრიკების გადახედვა და მეტად მორგება მოცემული საგნების სპეციფიკასა და შედეგებზე.

ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

შპს. საქართველოს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შედეგად მოდიფიცირდა 2.3 სტანდარტთან მიმართებით გაცემული რეკომენდაცია; კერძოდ, დაკონკრეტდა სასწავლო კურსი, რომლესაც შეეხებოდა მოცემული რეკომენდაცია. რაც შეეხება სხვა კომპონენტებთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციებს, ისინი, დასკვნაში ასახული გარემოებების ანალიზის გათვალისწინებით, სრულად გაიზიარა პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა; ამ ეტაპისთვის პრაქტიკულად უკვე განახლებულია ლიტერატურა, ჩასწორებულია სილაბუსები და აღმოფხვრილია ტექნიკური ხარვეზები. ექსპერტები მადლობას უხდიან პროგრამის პერსონალს კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის.

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე დაგეგმილი გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის შედეგებით გამოიკვეთა, რომ შპს საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის მიზანი, კერძოდ, „ინგლისური ფილოლოგიის საზღვარგარეთ სივრცისათვის რელევანტური თეორიებისა და კვლევის მეთოდების რეალურ პრაქტიკულ კვლევებში სრულფასოვნად და მიზნობრივად გამოყენების უნარის მქონე მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადება [...]“ ნათლად არის ჩამოყალიბებული პროგრამაში, ითვალისწინებს სწავლის სფეროს, სწავლების საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს, რამდენადაც მასში ინტეგრირებულია ლინგვისტიკისა და ლიტერატურის, ასევე კულტუროლოგიისა და სოციოლოგიისადმი კომპლექსური და ინტერდისციპლინარული მიდგომების გაცნობიერებისისა და რეალიზებისთვის აუცილებელი სასწავლო და კვლევითი კომპონენტები.

პროგრამის მიზნები ასევე ასახავს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას პროგრამის სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. ასე მაგალითად, პროგრამა ორიენტირებულია მოამზადოს მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე პროფესიონალი, რომელიც შეძლებს ინგლისური ენის კომპეტენციის მაგისტრატურის საფეხურისთვის რელევანტური C1 დონის გამოყენებით ლინგვისტიკისა და ლიტერატურის მიმართულებით მულტიგანზომილებიანი კვლევის წარმოებას შესაბამისი კვლევის მეთოდების, ისევე როგორც, „ენის, კულტურის, მენტალური რეპრეზენტაციებისა და სოციალური ქცევის ურთიერთდამოკიდებულების არსის, თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმებისა და ტენდენციების [...] კონსტრუირების პრინციპების გამოყენებით“ (ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა, გვ. 1). აღნიშნული მიზნების უზრუნველყოფა ხორციელდება მაგისტრანტისათვის აუცილებელი თეორიული, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტების პროგრამაში ერთობლივად ინტეგრირებითა და ინტერდისციპლინარული პრონციპების დომინანტურად წარმოდგენით, რაც პროგრამის მიზნებს რეალისტურს და მიღწევადს ხდის.

პროგრამის მიზნები ასევე ითვალისწინებს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რასაც ასევე ადასტურებს უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული შრომითი ბაზრის ანალიზი. კერძოდ, გამოიკითხა საქართველოს უნივერსიტეტის, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის, რეკლამა და საზოგადოებასთან ურთიერთობის, ხელოვნების, ფსიქოლოგიის, აღმოსავლეთმცოდნეობის, ისტორიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამების 127 სტუდენტი და რამდენიმე პოტენციური დამსაქმებელი ორგანიზაცია. კვლევის პროცესში ასევე დამუშავდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული კვლევები და სტატისტიკური მონაცემები (2015-2021) შემდეგი მისამართებიდან: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/193/ganatileba>; <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/61/umaghlesi-ganatileba>. (დასაქმების ბაზრის კვლევა, გვ 2).

დასაქმების ბაზრის კვლევამ გამოავლინა, რომ ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრთა პოტენციურ დამსაქმებლებად მოიაზრება ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, გამომცემლობები და საელჩოები, სახელმწიფო სტრუქტურები და არასამთავრობო ორგანიზაციები, ინგლისური ენის შემსავლელი ცენტრები და სხვ. სწორედ ამ სეგმენტზეა საქართველოს უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამაც გათვლილი, რაც იკვეთება როგორც პროგრამაში დეკლარირებული მიზნებიდან, ასევე დასტურდება ვიზიტის დროს პროგრამის პერსონალთან გასაუბრების შედეგების ანალიზით.

რამდენადაც ინგლისურენოვანი პროგრამა ორიენტირებულია მაგისტრანტის მომზადებაზე ინგლისურ ფილოლოგიაში, მოცემული სფეროს შინაარსისა და თავისებურებების გათვალისწინებით, მისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია რეალური საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და ის შესაძლებლობა, რასაც უნივერსიტეტი ამ მიმართულებით სთავაზობს სტუდენტს და პერსონალს. სწორედ ეს გახდა საფუძველი აკრედიტაციისას ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებასთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციისა. მონიტორინგის ფარგლებში გამოვლინდა, რომ როგორც ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის ადმინისტრაცია, ასევე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი პროგრამის აკრედიტაციიდან დღემდე სრულ მზადყოფნაშია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების ხელშესაწყობად. კერძოდ, მონიტორინგის პერიოდში განახორციელა ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებაზე ორიენტირებული შემდეგი აქტივობები:

2022 წლის დეკემბერში პროგრამის 2 აკადემიურმა პერსონალმა მონაწილეობა მიიღო და წარმოადგინა მოხსენება ოქსფორდის უნივერსიტეტის სერთაშორისო კონფერენციაზე (7th International Conference on Social Sciences, Humanities and Education. Oxford, the United Kingdom December 16-18, 2022); პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზებაში (SADAB 11th International Online Conference on Social Researches and Behavioral Sciences June 10-12, 2022/ Antalya, Turkey); საქართველოს უნივერსიტეტის სრული ფინანსური მხარდაჭერით პროგრამის განმახორციელებელმა 7 პროფესორმა წარადგინა მოხსენებები საერთაშორისო კონფერენციაზე;

ამას გარდა, პროგრამის განმახორციელებელი რამდენიმე აკადემიური პერსონალი გახდა „აკადემიური წერის სწავლების ევროპული ასოციაციის - EATAW“ წევრები, რაც მათ ავალდებულებს ევროპული გამოცდილების გაზიარებასა და სხვადასხვა ტიპის საერთაშორისო შეხვედრებში, ტრენინგებსა და კონფერენციებში მონაწილეობას.

სტუდენტებასათვის ინტერნაციონალიზიის ხელშეწყობის მიზნით - საერთაშორისო კონფერენციაზე საქართველოს უნივერსიტეტის სრული ფინანსური მხარდაჭერით მოხსენებები წარადგინეს ასევე ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის 7 სტუდენტმა და ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის 4 სტუდენტმა, რისი შესაძლებლობაც, როგორც პროგრამის პერსონალი აღნიშნავს, აუცილებლად მიეცემა მოცემული პროგრამის სტუდენტებსაც.

ასევე, 2022 წლის 21-25 ნოემბერს ERASMUS+ -ის ფარგლებში პავოლ ჯოზეფ საფარიკის უნივერსიტეტის (სლოვაკეთი) პროფესორებმა ჩაატარეს საჯარო ლექციები ევროპული ენებისა და ფილოლოგიის დეპარტამენტის ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და სტუდენტებისათვის, რომლებსაც ასევე მიეცათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოთ მოცემულ უნივერსიტეტში გაცვლით პროგრამაზე ჩასარიცხად (https://www.linkedin.com/posts/the-university-of-georgia-tbilisi-erasmus-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%97-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94-activity-6869882793644625920-z3L9?trk=public_profile_like_view) ექსპერტების აზრით, ინტერნაციონალიზაციის კუთხით ჩატარებული აქტივობები მნიშვნელოვანია ამ ეტაპისთვის.

პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია საქართველოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდის საშუალებით ყველა დაინტერესებული პირისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინგლისური ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სასწავლო საგნების სილაბუსებით;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- ვებ გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.
- პერსონალის პირადი საქმეები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
------------	------------------------------	---------------------------------------	-----------------------------------------	-------------------------------------

1.1 პროგრამის მიზნები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
-----------------------	-------------------------------------	--------------------------	--------------------------	--------------------------

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის შედეგებით გამოიკვეთა, რომ განსახილველი პროგრამის შედეგები შეესაბამება პროგრამით დასახულ მიზნებს და მოიცავს პროგრამით განსაზღვრული ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას; კერძოდ, პროგრამა გადის 18 შედეგზე, რომელიც ჩამოყალიბებულია 3 კატეგორიად იმისდა მიხედვით, თუ რა ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მქონე მაგისტრანტს გამოუშვებს პროგრამა (მაგ., მიზანი - „პროექტის მართვის მეთოდების, ინსტრუმენტებისა და პროექტის სასიცოცხლო ციკლის არსის ცოდნა და პროექტის მომზადებისა და მართვის უნარი“- პირდაპირ შეესაბამება ცოდნა/გაცნობიერების შედეგების ნაწილიდან ამონარიდს- „პროექტის მართვის მეთოდების, ინსტრუმენტებისა და პროექტის სასიცოცხლო ციკლის სპეციფიკა“, რაც თავის მხრივ შეესაბამება უნარების ნაწილიდან ამონარიდს - „ამზადებს და მართავს პროექტს ეფექტიანობის, ეფექტურობისა და წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების გათვალისწინებით“ და სხვ. პროგრამას აქვს კურიკულუმის რუკა, რომელიც ასახავს პროგრამის სწავლის შედეგებისა და ცალკეული საგნის შედეგების ბმას, თუმცა მოცემული რუკა არაინფორმატიულია პროგრამის მიზნებსა და შედეგებს შორის არსებული კორელაციის კუთხით, რაც რჩევების სახით გაიცა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის შემოწმების დროს. მონიტორინგის პერიოდისათვის, ინტერვიუზე გაირკვა, რომ უსდ ამ მიმართულებით მუშაობის პროცესშია და გეგმავს პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის თვალსაჩინოების ამსახველი ინფორმაციის პროგრამულად ინტეგრირებას უნივერსიტეტის ონლაინ პრაქტიკაზე, რომელიც ჯერ დამუშავების პროცესშია.

სამაგისტრო პროგრამის შინაარსის, სტრუქტურის, სწავლა-სწავლების მეთოდებისა და პროგრამის სხვა აუცილებელი კომპონენტის გათვალისწინებით, პროგრამის შედეგები რეალისტური და მიღწევადია და იზომება პროგრამით განსაზღვრული პირდაპირი (მაგ., აკადემიური მოსწრების ანალიზი პრეზენტაციებში, ქვიზებში და სხვ.) და არაპირდაპირი მეთოდებით (კითხვარები-სტუდენტებისა და დამსაქმებლის გამოკითხვა, პერსონალის მონაცემების შეგროვება და სხვ.).

პროგრამის შედეგების შემუშავების პროცესი რომ თანამშრომლობითია, ამას მოწმობს, როგორც ინტევიუს შედეგების ანალიზი, ასევე სკოლაში რეგულარულად მოქმედი პროგრამის განვითარების საბჭო სტეიქჰოლდერების მონაწილეობით.

პროგრამის შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას; ასე მაგალითად, პროექტის წერისა და მართვის უნარის გამომუშავება პირდაპირ შეესაბამება ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრების პოპულარულ დასაქმების სფეროებს- არასამთავრობო ორგანიზაციები, საელჩოები მაშინ, როცა ზოგადად, პროგრამის შედეგების დაახლოებით 80% ერგება საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების სპეციფიკას, ბიზნესკომუნიკაციის წარმოებისთვის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები კი სხვადასხვა დანიშნულების ინგლისური ენის მცოდნე სპეციალისტის პოზიციას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინგლისური ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სასწავლო საგნების სილაბუსებით;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი ოქმები;
- ვებ გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	■	□	□	□

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის მიმართება წარმოდგენილია კურიკულუმის რუკის დოკუმენტში. სწავლის შედეგების მიღწევა ხდება სამ დონეზე: გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცება. უსდ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების რეგულარულ შეფასებას და მონიტორინგს. პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად უსდ-ში შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების მექანიზმი. დოკუმენტში წარმოდგენილია პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდები, დადგენილია შესაბამისი სამიზნე ნიშნულები; სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, კონკრეტული პერიოდულობით. პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადია, მიღწევადი და რეალისტური. გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში ვიზიტის დროს ინტერვიუების პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტუდენტების მიერ კურსის დაძლევის და ზოგადად, პროგრამის სწავლის შედეგების უკეთ გასაზომად უსდ-ში მუშავდება პროცესში შეფასების განახლებული მექანიზმი, რომელიც უნივერსიტეტის ონლაინ პლატფორმაზე ინტეგრირების პროცესშია და სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული შეფასების კრიტერიუმების მეშვეობით უკეთ გაზომავს სწავლის შედეგებს.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას არაპირდაპირი მეთოდის ფარგლებში უსდში შემუშავებულია კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ფორმა, რომლის მეშვეობითაც კურსდამთავრებულები აფასებენ პროგრამის ფარგლებში მიღწეულ სწავლის შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და ტანდართული სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

შედეგების შეფასების მექანიზმი				
-------------------------------------	--	--	--	--

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად; კერძოდ, მისი მოცულობა, კომპლექსურობა და შინაარსი შეესაბამება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს – მაგისტრატურას. პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, რომელიც გადანაწილებულია პროგრამის 14 ძირითად (108 ECTS-მათ შორის სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა – 30 კრედიტი) და 21 ასარჩევ საგანზე (12 ECTS). მაგისტრანტთა საქმიანობა, მათ შორის ლექციაზე დასწრება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა, დამოუკიდებელ მეცადინეობა, გამოცდების მომზადება-ჩაბარებას, რეფერატის მომზადება/პრეზენტაციას ფასდება კრედიტით, რომელიც (1 ECTS) საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციით უტოლდება 25 ასტრონომიულ საათს.

პროგრამის კომპლექსურობა ვლინდება ორივე ბლოკში შემავალი თეორიასა (მაგ. „თანამედროვე ლინგვისტიკა“, „ლიტერატურის თეორია, კრიტიკა და ისტორია I და II“ და ა.შ.) და პრაქტიკაზე ორიენტირებული სასწავლო კურსების (მაგ. „ბიზნესკომუნიკაცია“, „პროექტის მენეჯმენტი“) და სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის არსებობით (მაგ., სამაგისტრო ნაშრომი, „ლინგვისტური კვლევის მეთოდები“ „ გამოყენებითი ლინგვისტიკა“, და ა.შ). ეს უკანასკნელი პროგრამაში ლოგიკურად და თანმიმდევრულად არის დალაგებული; კერძოდ, სწავლების მე-4 სემესტრში შეთავაზებული სამაგისტრო ნაშრომისათვის აუცილებელი კვლევითი უნარების გამოუმუშავება ხორციელდება თანდათანობით, პირველ და მეორე სემესტრებში შეთავაზებულ ძირითად და არჩევით კურსებში- (მაგ., „ლინგვისტური კვლევის მეთოდები“, „მხატვრული ტექსტის ლინგვისტური ანალიზი“, „გამოყენებითი ლინგვისტიკა“, „სოციოლინგვისტიკა“ და სხვ.) ჩაშენებული მცირე კვლევების საშუალებით. პროგრამის სასწავლო კომპონენტიც ლოგიკური და თანმიმდევრულია და ადეკვატურად ითვალისწინებს კომპონენტზე დაშვების წინაპირობებს. ასე მაგალითად, პირველ სემესტრში ძირითადი საგნების ბლოკში შეთავაზებულია კურსი „თანამედროვე ლინგვისტიკა“, რომელსაც მეორე სემესტრში ლოგიკურად მოსდევს „პარადიგმები და ტენდენციები თანამედროვე ლინგვისტიკაში“; მეორე და მესამე სემესტრის არჩევითი საგნების „პრაგმატიკა“, დისკურსის ანალიზი“ და „სოციოლინგვისტიკა“ წინაპირობაა „თანამედროვე ლინგვისტიკა“, რომელიც სავალდებულო საგანია და ისწავლება პირველ სემესტრში.

ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი მისანიჭებელი კვალიფიკაციის – ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი- შესაბამისია და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, იმის გათვალისწინებით, რომ მონიტორინგის პერიოდისათვის, პროგრამაში განხორციელდა რამდენიმე ცვლილება აკრედიტაციამდე გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად არჩევითი საგნების გადახალისება-

გამრავალფეროვნებასა და ინგლისური ენის გასაუმჯობესებელი კურსის დამატების თაობაზე; კერძოდ, პროგრამას დაემატა შემდეგი 3 არჩევითი კურსი: ინგლისური ენის გასაუმჯობესებელი სასწავლო კურსები **ინგლისური ენა C1 და ინგლისური ენა C2**. არჩევითი საგნების ნაწილში ინტეგრირდა შემდეგი სასწავლო კურსები: **ინგლისური ენა პოლიტიკაში (3 ECTS)**. აღნიშნული სასწავლო კურსები ინტეგრირდა შემდეგი სასწავლო კურსების კრედიტებისა და სასწავლო მასალის მოცულობის შემცირების ხარჯზე განათლების ლიდერობა და მართვა“ და „კურიკულუმის განვითარება“ . ორივე მათგანი გახდა 3 კრედიტიანი 6 ის ნაცვლად, რამაც, ექსპერტების აზრით, შეძლებისდაგვარად გააამრავლევროვნა არჩევითი საგნების ბლოკი.

ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი პროგრამის სწავლის სფეროსა და საფეხურის თავისებურებებიდან გამომდინარე ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს, კერძოდ, პროგრამა სრულად ინგლისურენოვანია ინგლისურენოვანი ლიტერატურით და მასში ინტეგრირებული სასწავლო საგნების თემატიკის დიდი წილი საერთაშორისო კონტენტზეა მორგებული (მაგ., „ინტერკულტურული კომუნიკაცია“, „ინგლისური ენა დროსა და სივრცეში“ , „ლიტერატურის თეორია და კრიტიკა“ და სხვ.).

პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესის ხელშესაწყობად, პროგრამისთვის მოქმედებს ფაკულტეტის პროგრამის განვითარების საბჭო, რომელშიც მონაწილეობას იღებს ყველა დაინტერესებული პირი (პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები. პ[ოტენციური დამსაქმებელი), რაც დასტურდება აკრედიტაციიდან დღემდე ჩატარებული 2 სხდომის ოქმი, თუმცა, როგორც პროგრამის პერსონალმა განაცხადა, სხდომა შეიძლება შეიკრიბოს ნებისმიერი საჭიროებისამებრ, მათ შორის პროგრამის სტრუქტურის მოდიფიკაციისა თუ დახვეწის მიზნითაც.

პროგრამა გარკვეულწილად ეხმიანება ინგლისური ფილოლოგიის დარგის თანამედროვე მიღწევებსა და სიახლეებს, რაც დასტურდება ფილოლოგიის სააზროვნო სივრცის ბოლოდროინდელი თემატიკისა და ტენდენციების ამსახველი კურსების (მაგ., გენდერული საკითხები, მედია დისკურსი, ბიზნესკომუნიკაცია, გამოყენებითი ლინგვისტიკა, ინკლუზიური განათლება, ლიტერატურულ კრიტიკაში მე-19 საუკუნიდან პოსტმოდერნიზმამდე არსებული ტენდენციები, ასევე ინკლუზიური განათლება და სხვ.) პროგრამაში ინტეგრირებით.)

მონიტორინგისთვის წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან და ვებ-გვერდთან გაცნობამ, ისევე როგორც ინტერვიუს შედეგებმა ცხადყო, რომ საქართველოს უნივერსიტეტი აკრედიტაციის შემთხვევაში პროგრამის შესახებ სრულ ინფორმაციის ათავსებს ვებ-გვერდზე (www.ug.edu.ge), და უნივერსიტეტის შესაბამის სკოლებთან თანამშრომლობით უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას დაინტერესებული პირთათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით;
- კურიკულუმის რუკა;
- პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის მტკიცებულებები;
- პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიზნით გათვალისწინებული აქტივობები და კომპონენტები,

- ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსისა პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, რაც ასევე ასახულია პროგრამის კურიკულუმის რუკაში (მაგალითად, სავალდებულო საგნის „პარადიგმები და ტენდენციები თანამედროვე ლინგვისტიკაში“ სწავლის შედეგები „იცის [...] ლინგვისტური პარადიგმებისა და ტენდენციების მეცნიერული მახასიათებლები, პარადიგმათა მონაცვლეობის მიზეზები ლინგვისტიკაში; აღწერს: პარადიგმებსა და მეცნიერებას შორის არსებული მიმართების თავისებურებებს; ლინგვისტური აზროვნების დინამიკასა და თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმულ სიტუაციას მემკვიდრეობითობისა და პოლიპარადიგმულობის არსის სიღრმისეული გააზრების გზით“ შეესაბამება პროგრამაში დეკლარირებულ სწავლის შედეგებს „თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმების, ტენდენციებისა და კონცეფციების სამეცნიერო მახასიათებლები, თანამედროვე ლინგვისტიკის შესწავლის ობიექტების კონსტრუირების პრინციპები, თანამედროვე

ლინგვისტური თეორიებისა და კვლევითი მიდგომების განმარტებითი პოტენციალი და პრაქტიკული მნიშვნელობა[...] და ორიენტირებულია, გამოუმუშაოს მაგისტრს ლინგვისტურ პარადიგმებს შორის არსებული მიმართებების კრიტიკული ანალიზის უნარი, რაც თავის მხრივ, შეესაბამება პროგრამის მე-11 შედეგს „კრიტიკულად ანალიზებს ფილოლოგიური კვლევისათვის რელევანტური მეთოდოლოგიური მიდგომების, პარადიგმების, ტენდენციების სამეცნიერო მახასიათებლების სპეციფიკას, თანამედროვე თეორიების განმარტებით პოტენციალსა და პრაქტიკულ მნიშვნელობას, [...] ლინგვისტურ პარადიგმათა სინთეზების შესაძლებლობათა შესახებ ამზადებს რეფერატს..“; ეს ყოველივე კი ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობასთან ასოცირებულ შედეგს „ითვისებს რა ფილოლოგიის კომპლექსურ, მულტიპარადიგმულ, ინტერპარადიგმულ და მულტიდისციპლინარულ სივრცეს, იღებს პასუხისმგებლობას პროფესიულ განვითარებაზე მის მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემთა ანალიზის/კონტრასტირების, სინთეზებისა და კვლევის შედეგების რეპრეზენტაციის, მის მიერ მომზადებულ ნაშრომებში (რეფერატი, მცირე კვლევა, სამაგისტრო ნაშრომი) ფილოლოგიის საზოგადოებრივი სივრცის სისტემური და სიღრმისეული ცოდნის გამოყენებისა და აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვის გზით“).

თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი ასევე შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს, რაც, მაგალითისთვის, ვლინდება კვირების მიერ გადანიშნული მასალის ანალიზით (მაგალითად, სასწავლო კურსში „ ინგლისური ენა პოლიტიკაში“ შედეგი „ანალიზებს პოლიტიკური დისკურსის ენობრივ სპეციფიკას“ შეესაბამება მე-11-15 კვირაში დასამუშავებელ მასალას “Metaphor in political discourse- a speech case study of the incoming 46th US president Joe Biden Delgado, Jennifer Alonso & Rodríguez, Pilar Alonso გვერდი: 6-32; Metaphors in politics- a study of the metaphorical personification of America in political discourse Vestermarck, I გვერდი: 14-21; 31-38 და სხვ. იმის გათვალისწინებით, რომ პოლიტიკაში ინგლისური ენის რეპრეზენტაციის დიდი წილი მოდის სხვადასხვა ტიპის მეტაფორის დეკოდირებაზე), რაც შეეხება სასწავლო კურსებში მითითებულ ლიტერატურას, ექსპერტების ჯგუფი მიიჩნევს, რომ, მიუხედავად აკრედიტაციის შემდგომ საბჭოს გადაწყვეტილებით რეკომენდებული გარკვეული ლიტერატურის დამატებისა პროგრამაში (მაგ., „ლინგვისტური კვლევის მეთოდების“ სილაბუსი შეივსო საველე ენათმეცნიერების მეთოდოლოგიის შესწავლაზე ორიენტირებული ლიტერატურით, როგორცაა: Field Linguistics: a Beginner's Guide; Bower, C., (2008); „პარადიგმები და ტენდენციები თანამედროვე ლინგვისტიკაში“ სილაბუსი შეივსო ტრანსფორმაციულ-გენერატიული გრამატიკის შესწავლაზე ორიენტირებული ძირითადი ლიტერატურით, როგორცაა: Zwart, J. (1998) Noam Chomsky. The Minimalist Program. Linguistics 34. Cambridge University Press; პროექტის მენეჯმენტის სილაბუსი შეივსო ჰუმანიტარულ მეცნიერებებში კვლევითი პროექტის მართვის, კერძოდ კი, დაფინანსების შესწავლაზე ორიენტირებული ძირითადი ლიტერატურით, როგორცაა: 1. Kawata, P. (2015). Grant Writing. Organizational Effectiveness Series; 2. Bristow, K. (2017) Funding in the Humanities The University of Connecticut.), მსოფლიოში სწრაფად ცვალებადი პოლიტიკური და სოციალურ- კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია სასწავლო ლიტერატურის გადახედვა და შევსება, როგორც უახლესი სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურით, ასევე სასემინარო/პრაქტიკული სამუშაოსთვის განკუთვნილი ცოცხალი ენის შემცველი ბოლოდროინდელი სტატიებით, ემპირიული მასალითა და კვლევის შედეგებით (მაგალითად, სასწავლო კურსში „ბიზნესკომუნიკაცია“ სასწავლო ლიტერატურა თარიღდება 2016 წლით, ანუ 7 წლის წინანდელი რეალობის ასახვით, ბიზნეს გარემოში, რაც ამ კონკრეტული დისკურსის გათვალისწინებით, დიდი დროა ცვლილებების განხორციელებისთვის; მაგალითად, ყურადღების მიღმა დარჩება ბოლო წლებში აღმოცენებული აქტიურად ინტეგრირებული ჰიბრიდული და ონლაინ მუშაობის ტიპი (ე.წ. remote work), სოციალური მედიისა და მარკეტინგის როლი ბიზნეს კომუნიკაციაში და სხვ.;

მსგავსად, კურსის „ენა და გენდერი“ სილაბუსში შეთავაზებული საკმაოდ აქტუალური საკითხებისა მაგალითად, ერთ-ერთი კვირის განსახილველი თემატიკა მოიცავს „ერთსქესიანთა საუბრებში დისკურსის მოდელების თავისებურებების“ შესწავლას და ანალიზს. ინგლისური ენის განვითარების თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით, დისკურსის სფერო სწრაფი ტემპებით და ინტენსივობით ვითარდება (მაგ, ვებსტერის ლექსიკონში nonbinary ტერმინი "They" 2019 წელს დაემატა, ხოლო American Dialect Society-ში - 2015 წელს და აღსანიშნავია, რომ მსგავსი გენდერულად სენსიტიური ტერმინები ლექსიკონებშიც კი, ოფიციალურ დონეზე არ ყოფილა დარეგისტრირებული 2014 წლამდე, რომლითაც თარიღდება კურსის სილაბუსის ლიტერატურა). ვინაიდან კურსის სწავლის შედეგი გულისხმობს „თანამედროვე დისკურსის, ლინგვისტიკისა და გენდეროლოგიის საკითხების სიღრმისეულ ანალიზს და გამოყენებას“, რეკომენდებულია, კურსის ფარგლებში შეთავაზებული იყოს უახლესი ლიტერატურა, რომელშიც განხილული იქნება მოცემული სფეროს უახლესი ტენდენციები. კურსი, როგორც თავად პროგრამა, ორიენტირებულია ინგლისური ენის შესწავლაზე, რაც დინამიური პროცესია და სტუდენტებს აქვთ კავშირი ცოცხალ ენასთან, სასურველია, ყველა კურსის ფარგლებში სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა შესაბამის მასალასთან, როგორც სახელმძღვანელოებთან, ასევე სამეცნიერო კვლევებთან, რაც მითითებული იქნება შესაბამისი კურსის სილაბუსებში. გარდა ამისა, სასწავლო კურსში „დისკურსის ანალიზი“ - მითითებული 2012 წლის ლიტერატურა მომველებულია და მიზანშეწონილია, მისი განახლებული გამოცემის შეთავაზება სტუდენტებისთვის (მაგ: **The Routledge Handbook of Discourse Analysis** - Michael Handford, James Paul Gee - <https://www.routledge.com/The-Routledge-Handbook-of-Discourse-Analysis/Handford-Gee/p/book/9780367473839>).

თითველი კურსისთვის გამოყოფილ კრედიტების რაოდენობასთან მიმართებით საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობის ჩათვლით, ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობასა და შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდების (ლექცია, პრაქტიკული, სემინარი, ლაბორატორია და სხვა) განსაზღვრის სპეციფიკის თვალსზრისით, ექსპერტთა აზრით, მიზანშეწონილია, პროგრამის შემადგენელი საგნების კრედიტების რაოდენობა, მათ შორის საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი დრო ასათვისებელი მასალის სირთულისა და საჭიროების გათვალისწინებით, გადაიხედოს, მოდიფიცირდეს და მეტად მოერგოს საგნის სპეციფიკასა და შინაარსს. მაგალითისთვის, საგანში- „ბიზნესკომუნიკაცია“ დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილია 117 საათი, ხოლო კურსისთვის „ლიტერატურის თეორია და კრიტიკა და ისტორია I“ განკუთვნილია 103 საათი; ორივე მათგანი 6 კრედიტიანია, ანუ ჯამში- 150 საათი; ამათგან ასათვისებელი მასალის შინაარსის ანალიზით ირკვევა, რომ პირველ კურსში საკონტაქტო/ ლექციისთვის განკუთვნილია 22 საათი, რაზეც კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა მოესწროს დაახლოებით 12 და მეტი ე.წ. კომუნიკაციური უორკშოფი, ლექტორის მიერ ახალი მასალის დემონსტრირება, ახსნა-განმარტებითი მეთოდის გამოყენება, სადისკუსიო თემის გრამატიკულ-ლექსიკური ანალიზი და სხვ. მაშინ, როცა სტუდენტებს დამოუკიდებელი მუშაობისთვის ეძლევათ 117 საათი, უხეშად რომ ვთქვათ, კვირაში დაახლოებით 7.5 საათი, მეორე კურსის შემთხვევაში კი საკონტაქტო საათებისთვის განსაზღვრულია 36 საათი- დაახლოებით იდენტური სწავლა/სწავლების მეთოდების გამოყენებით და გაცილებით ნაკლები დრო (კვირაში დაახლოებით 6.5 საათი) დამოუკიდებელი მუშაობისთვის სილაბუსში მითითებული 21 სავალდებულო სასწავლო ლიტერატურის ასათვისებლად. მასალის სირთულის გათვალისწინებითაც - ერთი მხრივ, ინგლისურენოვანი ლიტერატურული კრიტიკის, ისტორიისა და ისეთი ავტორების გააზრება, როგორცაა, ჰეგელი, ნიცშე და სხვ. და მეორე მხრივ, შედარებით ადვილადასათვისებელი, ბიზნესის კონტენტი, თვალშისაცემ შეუსაბამობას ქმნის.

სასწავლო ლიტერატურასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სილაბუსებში მითითებულია მხოლოდ სავალდებულო/მირითადი ლიტერატურა, და აქაც, ზოგ შემთხვევაში ყურადღებას იქცევს მათი დიდი რაოდენობა: 8-10, 21-ც კი (მაგ., „ჰეროიზმი ლიტერატურასა და საზოგადოებაში“). სასურველია, სილაბუსის ეს ბლოკი გაფორმდეს სამეცნიერო ბიბლიოგრაფიის შედგენის წესისამებრ კონკრეტული სტილის მიხედვით. გარდა ამისა, სასწავლო საგნების სილაბუსებში არ არის გამიჯნული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა, რამაც შეიძლება მაგისტრანტს გაურთულოს დამპოუკიდებელი მუშაობის პროცესი, ამას გარდა, არათუ გაუღვივოს მას კრიტიკული აზროვნება, არამედ, გარკვეულწილად ჩარჩოებში მოაქციოს ახალგაზრდა მკვლევრების სააზროვნო სივრცე. მოცემულ საკითხთან მიმართებით, პროგრამის პერსონალთან საუბრისას 2 რამ აღინიშნა: ერთი, რომ სტუდენტებს დამხმარე ლიტერატურა უნივერსიტეტის ელექტრონული პორტალის საშუალებით მისდით, თუმცა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების შემდგომ ეს ექსპერტებმა ვერ დაადასტურეს. მეორე, როგორც აკადემიურმა პერსონალმა საუბრისას აღნიშნა, დამხმარე მასალად მოიაზრება საილუსტრაციო მოდელების, მაგალითების, შემთხვევებისა და სტატიების განხილვა კონკრეტული სემინარის დროს, რაც მიმდინარეობს თეორიასთან ბმავში, და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის პრინციპებიდან გამომდინარე, მათთვის მიუღებელია სილაბუსში ამგვარი დეტალიზაცია, რაც სავსებით გასაგებია ექსპერტებისთვის, თუმცა, განსაკუთრებით მაგისტრატურის დონეზე, გარკვეული მეცნიერული თავისუფლების მიცემა დამხმარე ლიტერატურის, ჟურნალის, სტატიების კრებულის, ან სულაც მულტიმედიური კრებულების მითითების ან რჩევის სახით მეტად გამართლებული და მიზანშეწონილი იქნებოდა სტუდენტების ავტონომიური მეცნიერული საქმიანობისა და თუნდაც, დროითი ეკონომიის ხელშეწყობის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით და მათში ასახული სასწავლო მასალა/რესურსი;
- კურიკულუმის რუკა;
- სასწავლო კურსის/საგნის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სასწავლო ლიტერატურის გადახედვა და შევსება, როგორც უახლესი სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურით, ასევე სასემინარო/პრაქტიკული სამუშაოსთვის განკუთვნილი ცოცხალი ენის შემცველი და ბოლოდროინდელი ტენდენციების ამსახველი სტატიებით, ემპირიული მასალითა და კვლევის შედეგებით
- რეკომენდებულია პროგრამის შემადგენელი საგნების კრედიტების რაოდენობა, მათ შორის საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი დრო ასათვისებელი მასალის სირთულისა და საჭიროების გათვალისწინებით, გადაიხედოს, მოდიფიცირდეს და მეტად მოერგოს საგნის სპეციფიკასა და შინაარსს.
- მიზანშეწონილია სასწავლო საგნების სილაბუსებში სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის გამიჯვნა და დაზუსტება სტუდენტებისთვის დამოუკიდებელი მუშაობის ხელშეწყობის მიზნით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას; კერძოდ, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა (საქართველოს მოქალაქეებისათვის) არის: აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე (სამაგისტრო პროგრამებზე) სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ (2011 წლის 29 დეკემბერი) ბრძანების შესაბამისად, ინგლისურ ენაში (წერითი) და სპეციალობაში (ზეპირი) გამოცდის წარმატებით გავლის, ადმინისტრაციული რეგისტრაციისა და უნივერსიტეტის პრეზიდენტების ბრძანების საფუძველზე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა (უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის):

